

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი

16.09.2013

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნინო ჩიხალაძე - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

რევაზ აფხაზავა - განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ზოგადი განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, უმაღლესი განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ანა ბახტურიძე - სტუდენტი, საბჭოს მდივანი;

ლილი ბიბილაშვილი - შპს - „HR პროფესიონალთა გილდიას“ პრეზიდენტი;

დავით აფრასიძე - ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

კახაბერ ჯაყული - შპს - „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსტიტეტის“ პროფესორი.

საბჭოს სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული პირები:

მაია ჩიხლაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;

ევა ჩიკაშვილა - პროფესიული განათლების ექსპერტი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

ავტორიზაციის მაძიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. მარინე იოსელიანი - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი;

2. ირინა ბაქრაძე - (ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროგრამების ხელმძღვანელი;

3. ზურაბ ბაიაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

4. ირინა გოცირიძე - ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი;

5. მიხეილ შილაკაძე - ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

5 8 20 2

6. ნათია ვაჭარაძე - შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
7. თეა შაყულაშვილი - შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული ცენტრის დირექტორი;
8. ნოდარ პაპუკაშვილი - შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
9. მაია ამაშუკელი - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის, ეკონომიკისა და მართვის სკოლის დირექტორი;
10. ნათია შეყილაძე - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის თანამშრომელი;
11. მანანა სანაძე - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი;
12. ნელი ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „საზოგადოება ცოდნის“ პროგრამის ხელმძღვანელი;
13. ლალი კოკაია - ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „საზოგადოება ცოდნის“ პროგრამის ხელმძღვანელი;
14. მზია გოგიტაური - ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „საზოგადოება ცოდნის“ დეკანი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტები):

მაია თეთრუაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ნონა ზუმბაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
 თეა ნადირაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ციური დურული - ავტორიზაციის ექსპერტი.
 მაკა კაჭარავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
 ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
 თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:25 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

ნ-ა-ს-გ-ზ

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
6. შპს - საქართველოს უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „საზოგადოება ცოდნისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსსმა, ნანა ჭიდლაძემ, აღნიშნა, რომ ცენტრში წარმოდგენილი იყო ა(ა)იპ - აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასთან“ დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას. ნანა ჭიდლაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის 12 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია ასევე მონაწილეობდეს ცენტრის დირექტორის მიერ განსაზღვრული 2 პირი. ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით 16 სექტემბრის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მონაწლეობას მიიღებდნენ პროფესიული განათლების ექსპერტები მაია ჩიხლაძე და ეკა ჩიკაშუა. ნანა ჭიდლაძემ აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული იყო სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წერილობითი შუამდგომლობა, რომლითაც ის ითხოვდა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 პირველი აგვისტოს „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ №8 გადაწყვეტილების ამოქმედებას 2014 წლის პირველი სექტემბრიდან, რის გარეშეც დაწესებულების პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები კარგავდნენ სახელმწიფო დაფინანსებას. ნანა ჭიდლაძემ განმარტა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია ვადის გასვლამდე დიდი ხნით ადრე გაიარა. ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილება მალაში შევიდა პირველ აგვისტოს. საბჭომ ერთხმად გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის პირველი აგვისტოს №8 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
6. შპს - საქართველოს უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „საზოგადოება ცოდნისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;

6 მარტი

1. „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის პირველი აგვისტოს №8 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭილაძემ საბჭოს წევრებს გააცნო შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც ცვლილება უნდა შესულიყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის პირველი აგვისტოს №8 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბებულიყო შემდეგი რედაქციით: „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245628496) 5 წლის ვადით 2014 წლის პირველი იანვრიდან მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება“.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის პირველი აგვისტოს №8 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245628496) 2014 წლის პირველი იანვრიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

E. M. Chigidze

2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმომადგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა ნონა ზუმბაძემ წარადგინა:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წერილის (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში რეგისტრაციის N324323 07.08.2013) და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 15 აგვისტოს N261 ბრძანების საფუძველზე აღნიშნული უნივერსიტეტის სტუდენტთა რაოდენობის ადგილების გაზრდის საკითხთან დაკავშირებით, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი თბილისში ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი მატერიალური და ადამიანური რესურსი.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 2012 წელს ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს ავტორიზაციის მიზნებისთვის ჰქონდა საერთო ფართი 2974.98 კვ.მ., აქედან სასწავლო ფართი 1186.59 კვ.მ., ხოლო დამხმარე ფართი - 1788.39 კვ.მ., რომლის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 31 ივლისის N215 გადაწყვეტილებით განესაზღვრა მისალები კონტიგენტის ზღვრული ოდენობა - 600 სტუდენტი.

2.2 ავტორიზაციის გავლის შემდეგ, უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო მიზნებისათვის დაიმატა 307.32 კვ.მ. საერთო ფართი, აქედან სასწავლო ფართი - 120 კვ.მ.-ს, დამხმარე ფართი - 187.32 კვ.მ.

აღნიშნული ფართზე ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.

№	მისამართი	საკადასტრო კოდი	სასწავლო ფართი (კვ.მ)	დამხმარე ფართი (კვ.მ)	სულ ფართი (კვ.მ)
1	თბილისი, ბროსეს ქ. N2	01.15.04.005.006	636.32	142.68	779
2	თბილისი, გორგასალის ქ.101	01.18.09.006.002	550.27	938.37	1488.64

6 მარტი

		01.18.09.006.027			
3	თბილისი, თამარაშვილის ქ.N13	01.10.16.004.160.01 .511	-	59.93	59.93
4	ქუთაისი, გოგებაშვილის ქ.N16-18-20	03.03.21.216.01.503	-	136.91	136.91
5	გორის რაიონი, სოფელი ფხვენისი	66.42.15.004	-	474.14	474.14
6	თბილისი, ალმასიანის ქ.N19-21 (ბლოკი II), ბერბუთის ქ.N10	01.10.13.034.029.02 .502	60	40	100
7	თბილისი, ლადო ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. N62	01.15.05.093.023.01 .516	-	19.30 (სარდაფი)	19.30
8	თბილისი, ლადო ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. N62	01.15.05.093.023.01 .511	-	15 (სარდაფი)	15
9	თბილისი, ლადო ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. N62	01.15.05.093.023.01 .508	-	12 (სარდაფი)	12
10	თბილისი, ლადო ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. N62	01.15.05.093.023.01 .515	-	19.47 (სარდაფი)	19.47
11	თბილისი, ლადო ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. N62	01.15.05.093.023.04 .501	-	12.96 (სარდაფი)	12.96
12	თბილისი, ლადო ასათიანის (ყოფ. ენგელსის) ქ. N62	01.15.05.093.023.01 .502	60	68.59	128.59
	სულ:		1306.59	1939.35	3245.94

დღეის მდგომარეობით, უნივერსიტეტს საგანმანათლებლო მიზნებისათვის საკუთრებაში აქვს 646 ერთადგილიანი მერხი შესაბამისი სკამით, მუშა მდგომარეობაში მყოფი კომპიუტერების საერთო რაოდენობაა 160, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი (ზეჭდური და ელექტრონული) – 5518 ერთეული.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს. კერძოდ, 2 საბაკალავრო, 7 სამაგისტრო, 1 სადოქტორო პროგრამას.

აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ხდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით, კერძოდ, აკადემიური და მოწვეული პერსონალით. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალი შერჩეულია კონკურსის შედეგად.

ავტორიზაციის გავლის შემდგომ პერიოდში, კერძოდ 2013 წლის 15 მარტს უნივერსიტეტმა გამოაცხადა კონკურსი ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით,

კონკურსის გამოცხადება მოხდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და Jobs.ge-ზე. ვებ-გვერდზე განთავსებულ განცხადებაში გაწერილი იყო კონკურსის ჩატარების ეტაპები და ვადები.

3.2 აკადემიური თანამდებობების დაკავება ხდება ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შინაგანაწესის მე-11 მუხლის შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კონკურსანტების შერჩევას ახორციელებს შესაბამისი მიმართულების სკოლის აკადემიური საბჭო. შესაბამისად, უურნალისტიკისა და მედია-მეწარმენტის კავკასიური სკოლის აკადემიური საბჭოს სხდომის საფუძველზე (ოქმი N6, 03.05.2013) 8 კონკურსანტიდან შერჩეულ იქნა 5 ასისტენტ-პროფესორი და წარედგინა რექტორს ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, რექტორის 2013 წლის 8 მაისის N01-09/150 ბრძანების საფუძველზე მოხდა შერჩეული ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნა. აღნიშნული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

3.3 დღეისათვის აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა 36, მათ შორის სრული პროფესორი - 11, ასოცირებული - 5 და ასისტენტ-პროფესორი - 20.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ავტორიზაციის მინიჭების დროს დაწესებულებას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 600-ით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750-ით განსაზღვრა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის თანახმად, დაწესებულებას უფიქსირდებოდა 641 მერხი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში სწავლა მიმდინარეობდა ორ ცვლაში, კერძოდ მაგისტრანტებს ლექციები უტარდებოდათ საღამოს საათებში. შესაბამისად, აღნიშნული რაოდენობის მერხები 750 სტუდენტისთვის იყო საკმარისი.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, ნონა ზუმბაძეს ადასტურებდა თუ არა იყო, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებას. ნონა ზუმბაძემ განაცხადა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს, მისი რესურსების გათვალისწინებით შეეძლო 750 სტუდენტისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204429341) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750-ით.

3. ა(ა)იპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა მაია თეთრუაშვილმა, რომელმაც ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არსებული შენიშვნები.

განმარტება: დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა გასაუბრება უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. საუბარი ეხებოდა შესამოწმებელ პროგრამებს. ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ბატონმა გიორგი მიძიგურმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტამდე დაწესებულებამ მოახდინა არსებული პროგრამების მოდიფიცირება, რომელთა დამტკიცებაც მოხდება უახლოეს აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა, როგორც დამტკიცებული პროგრამები, ასევე უნივერსიტეტის მიერ მოდიფიცირებული პროგრამების პროექტები.

1. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურა ბუნდოვანია და არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/ნ -თ დამტკიცებულ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს.

წარმოდგენილი მოდიფიცირებული საბაკალავრო პროგრამების პროექტებში სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით: სტუდენტს შუალედური კვალიფიკაცია ენიჭება პროგრამაში არსებული მოკლე ციკლის გავლის შემთხვევაში (არანაკლებ 180 კრედიტი, მათ შორის 60 კრედიტი არჩევითი მოდულიდან), ხოლო ბაკალავრი-საგანმანათლებლო პროგრამის 180 კრედიტის (მათ შორის მინიმუმ არჩევითი მოდული 60 კრედიტი) და უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო კურსების კომბინაციით, არანაკლებ 240 კრედიტისა.

2. დამტკიცებული პროგრამების მიხედვით უნივერსიტეტში 1 ESTS კრედიტი 27 საათის ექვივალენტურია. თითოეული სასწავლო კურსის საერთო საათების რაოდენობა გადანაწილებულია ლექცია/სემინარებზე, პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მეცადინეობებსა და დამოუკიდებელ სამუშაოზე. არც კურიკულუმში და არც ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის საკონტაქტო საათები კრედიტის ფარგლებში არ არის გაწერილი.

წარმოდგენილ მოდიფიცირებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების პროექტებში კრედიტის ფარგლებში გაწერილია შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის გამოყოფილი საკონტაქტო საათები. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი

სილაბუსების მოცულობიდან გამომდინარე, მიმდინარეობს აღნიშნული ცვლილების სილაბუსებში ასახვა.

3. პროგრამებში და სასწავლო კურსების სილაბუსებში არ ჩანს რომელ სასწავლო კვირას ტარდება შუალედური და დასკვნითი გამოცდები, უნივერსიტეტი ყოველი სემესტრის დასაწყისში ამტკიცებს „სემესტრის სასწავლო განრიგზ“ სადაც გაწერილია გამოცდების ჩატარების ვადები. აღნიშნული გრაფიკის განთავსება ხდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4. „ბიოსამედიცინო ინჟინერიისა“ და „პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის საინჟინრო ტექნოლოგიების“ საბაკალვურო პროგრამაში არ არის გაწერილი სტუდენტის ე.წ. „მოკლე ციკლის“ სწავლის შედეგები.

აღნიშნული გათვალისწინებულია მოდიფიცირებული პროგრამების პროექტში.

5. დამტკიცებულ უცხოურვან პროგრამებში პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში განსაზღვრული არ არის სწავლების ენის (რუსული, ინგლისური) ცოდნის დონე.

6. საბაკალვაკრო პროგრამა: კვების პროდუქტების ინჟინერია, ტექნოლოგია და ექსპერტიზა:

სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლებების წინაპირობები არასწორადაა განსაზღვრული, ზოგიერთი მათგანი კი შესაბამისობაში არ მოდის სასწავლო გეგმასთან, მაგ.:

- სასწავლო კურსებში: უცხოური ენა (გერმანული) -1T, უცხოური ენა (ინგლისური) – B1.1, უცხოური ენა (ინგლისური) – B2.1, უცხოური ენა (ფრანგული) -1T დაშვების წინაპირობაში მითითებულია:

• უცხოური ენა (გერმანული) -1T – „ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარა გერმანული ენა“

• უცხოური ენა (ინგლისური) – B1.1 - „ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარა ინგლისური ენა“

• უცხოური ენა (ინგლისური) – B2.1 - „ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარა ინგლისური ენა“

• უცხოური ენა (ფრანგული) -1T - „ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარა ფრანგული ენა“

- სასწავლო კურსების სილაბუსებში: ორგანული ქიმია და კვების პროდუქტების ქიმია დაშვების წინაპირობაში მითითებულია ზოგადი ქიმია, რომელიც არ ისწავლება აღნიშნულ საბაკალვაკრო პროგრამაზე.

- გეგმილური ხაზების დაშვების წინაპირობაში მითითებულია მხაზველობითი გეომეტრია. გეგმილური ხაზვაც და მხაზველობითი გეომეტრიაც ისწავლება პირველ სემესტრში.

- სასწავლო კურის სილაბუსში: ტექნიკური მიკრობიოლოგიის საფუძვლები დაშვების წინაპირობებში მითითებულია - „სასწავლო კურსის ათვისებისათვის საჭიროა კვების პროდუქტების შემადგენლობის, ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიის დისციპლინებში ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის დონე“. ტექნიკური მიკრობიოლოგიის საფუძვლები ისწავლება მესამე სემესტრში, პირველ და მეორე სემესტრში კი აღნიშნული სასწავლო კურსები პროგრამით განსაზღვრული არ არის. საგანმანათლებლო პროგრამაში კი მითითებულია, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსს წინაპირობა არ აქვს.

- სასწავლო კურსი „ფიზიკური ქიმია“ სასწავლო გეგმაში მითითებულია, თუმცა არ არის მითითებული რომელ სემესტრში ისწავლება და რამდენ კრედიტიანია, დაშვების წინაპირობად კი მითითებულია, რომ „წინაპირობა არ აქვს“. რაც შეეხება სილაბუსს, მითითებულია, რომ „ფიზიკური ქიმია“ არის 5 კრედიტიანი და კურსზე დაშვების

წინაპირობაა: „იცოდეს საერთო ქიმიის საფუძლები და ჰქონდეს მინიმალური ცოდნა მათემატიკაში, კორმოდ: მათემატიუკური ანალიზის ელემენტები (ინტეგრალები): ექსპონენტები, ლოგარითმები, გრაფიკებზე მუშაობა, წილადურ-რაციონალური ფუნქციები“.

- სასწავლო კურსი „სამაცივრო და საშრობი დანადგარები“ დაშვების წინაპირობაში მითითებულია: „ფიზიკის, მათემატიკის, თერმოდინამიკისა და თბოგადაცემის ფუნდამენტალური ცოდნა“, იგივე სასწავლო კურსს საგანმანათლებლო პროგამაში დაშვების წინაპირობად მითითებული აქვს: „სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავებელი მრეწველობის პროცესები და აპარატები. სურსათის ქიმია“.

- " სურსათის ქიმია"- გაურკვეველია რომელ სემესტრში ისწავლება აღნიშნული სასწავლო კურსი.

- სასწავლო კურსი „საგემოვნო პროდუქტების ტექნოლოგია“ დაშვების წინაპირობაში მითითებულია: „წინაპირობა არ გააჩნია“, იგივე სასწავლო კურსს საგანმანათლებლო პროგამაში დაშვების წინაპირობად მითითებული აქვს: „სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავებელი მრეწველობის პროცესები და აპარატები. სურსათის ქიმია“. აგრეთვე გაურკვეველია რომელ სემესტრში ისწავლება აღნიშნული სასწავლო კურსი.

- სასწავლო კურსი „ცხიმზეთების წარმოების ტექნოლოგია და მოწყობილობები“ დაშვების წინაპირობაში მითითებულია: „ ორგანული ქიმია, მცენარეული ნედლეულიდან სურსათის მიღების საერთო ტექნოლოგია“, იგივე სასწავლო კურსს საგანმანათლებლო პროგამაში დაშვების წინაპირობად მითითებული აქვს: „სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავებელი მრეწველობის პროცესები და აპარატები. სურსათის ქიმია“. აგრეთვე გაურკვეველია რომელ სემესტრში ისწავლება აღნიშნული სასწავლო კურსი.

- სასწავლო კურსი „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია“ დაშვების წინაპირობაში მითითებულია: „სურსათის წარმოების პროცესები და აპარატები, მეტროლოგია, სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია, საკვების ქიმია, ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტების წარმოების ფიზიკურ-ქიმიური და ბიოქიმიური საფუძვლები, მათი გამოკვლევის მეთოდები, ვეტერინარულ-სანიტარული ექსპერტიზა და მიკრობიოლოგია“, იგივე სასწავლო კურსს საგანმანათლებლო პროგამაში დაშვების წინაპირობად მითითებული აქვს: „სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავებელი მრეწველობის პროცესები და აპარატები. სურსათის ქიმია“. აგრეთვე გაურკვეველია რომელ სემესტრში ისწავლება აღნიშნული სასწავლო კურსი.

- სასწავლო კურსი „კვების პროდუქტების სამაცივრო ტექნოლოგია“ სილაბუსში დაშვების წინაპირობა მითითებული არ არის, იგივე სასწავლო კურსს საგანმანათლებლო პროგამაში დაშვების წინაპირობად მითითებული აქვს: „სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავებელი მრეწველობის პროცესები და აპარატები. სურსათის ქიმია“. აგრეთვე გაურკვეველია რომელ სემესტრში ისწავლება აღნიშნული სასწავლო კურსი.

- სასწავლო კურსი „მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების საქონელმცირდნეობრივი დახასიათება და ექსპერტიზა“ 5 კრედიტიანია (135 საათი), საათები განაწილებულია შემდეგნაირად: ლექცია - 30 საათი, სემინარი - 30 საათი, დანარჩენი 75 საათი სავარაუდოდ უნდა იყოს მითითებული დამოუკიდებელ საათებში, თუმცა მითითებული არ არის.

- ანალოგიური მდგომარეობაა მდგომარეობაა სასწავლო კურსის სილაბუსში „ალკოჰოლური პროდუქციის კონტროლისა და ფალსიფიკაციისაგან დაცვის მეთოდები“.

საბაკალავრო პროგრამა: პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის საინჟინრო ტექნოლოგიები:

- სასწავლო კურსებში: უცხოური ენა (გერმანული) -1T, უცხოური ენა (ინგლისური) – B1.1, უცხოური ენა (ინგლისური) – B2.1, უცხოური ენა (ფრანგული) -1T დაშვების წინაპირობაში მითითებულია:

- უცხოური ენა (გერმანული) - B1 – გასასწორებელია მიზანი
- უცხოური ენა (ინგლისური) – B1.1 - „ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარა ინგლისური ენა“
- უცხოური ენა (ინგლისური) – B2.1 - „ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარა ინგლისური ენა“
- უცხოური ენა (ფრანგული) -1T - „ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარა ფრანგული ენა“. ასევე
- უცხოური ენა (რუსული) -1T - „ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარა რუსული ენა“.

- სასაწავლო კურსის სილაბუსებში: მათემატიკა 1,2,3; ფიზიკა 1,2; გეგმიური ხაზვა; საქართველოს ისტორია; სოციოლოგია; კულტუროლოგია; ენობრივი კომუნიკაციები; ელქტროტექნიკა და ელექტროტექნიკის საფუძვლები; ჰიდრავლიკა; სამრეწველო საწარმოთა ეკონომიკა და მენეჯმენტი; საბეჭდი ფორმების დამზადების ტექნოლოგია - მირითადი ლიტერატურაში მითითებულია ქართული სახელმძღვანელოები. საგანმანათლებლო პროგრამა კი რუსულენოვანია.

- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალში მითითებულია ქართული ენა წინაპირობის გარეშე. სასწავლო კურსის სილაბუსის სახელწოდებაა ქართული ენა 2, დაშვების წინაპირობა კი ქართული ენა 1, რაც შეუსაბამობაშია საბაკალავრო პროგრამასთან.

- სასაწავლო კურსის სილაბუსში - „გამოყენებითი მექანიკა“, დაშვების წინაპირობად მითითებულია თეორიული მექანიკა, რომელიც პროგრამით არ ისწავლება, პროგრამაში კი - დაშვების წინაპირობად მითითებულია მათემატიკა 2.

- სასაწავლო კურსის სილაბუსში „ტექნიკური მექანიკა“ დაშვების წინაპირობად მითითებულია „მათემატიკა 2, ფიზიკა 2, თეორიული მექანიკა, ლითონთა ტექნოლოგია და მასალათმცოდნეობა“, პროგრამაში კი-„გამოყენებითი მექანიკა“. თეორიული მექანიკა, პროგრამით არ ისწავლება.

- სასწავლო კურსის სილაბუსში: „პროფესიული პრაქტიკა ტექსტილის ნაწარმის საწარმოში“ დაშვების წინაპირობად მითითებულია „არ გააჩნია“, საგანმანათლებლო პროგრამაში კი დაშვების წინაპირობად მითითებულია: „ტექსტილის ნაწარმის ინოვაციური ტექნოლოგიები; კონსტრუირების საფუძვლები; ტექსტილისა და ქურქ-ბეწვეულის ნაწარმის ტექნოლოგიური მანქანები და მოწყობილობები“.

- სასწავლო კურსის სილაბუსში „ოფსეტური საბეჭდი მანქანები“, მიზანში მითითებულია: „სტუდენტმა უნდა შეიძინოს გარკვეული ცოდნა“, დაშვების წინაპირობის გრაფა ცარიელია, პროგრამით თუ ვიმსჯელებთ, არ აქვს.

- სასწავლო კურსის სილაბუსში „ბეჭვდითი პროდუქციის კომპიუტერული გრაფიკული სისტემები“ დაშვების წინაპირობად მითითებულია „სამაგიდო საგამომცემლო სიტემები“, ვერ დგინდება აღნიშნული სასწავლო კურსები რომელ სემესტრში ისწავლება. პროგრამით თუ ვიმსჯელებთ, წინაპირობა არ გააჩნია.

- პროფესიულ პრაქტიკის სილაბუსში დაშვების წინაპირობის გრაფა ცარიელია, პროგრამაში კი მითითებულია „ბეჭვდის წინა პროცესების მოწყობილობები“.

- პროგრამაში „საწარმოო პრაქტიკა ქურქ-ბეწვეულის საწარმოში“ დაშვების წინაპირობად მითითებულია „ტექსტილისა და ქურქ-ბეწვეულის ნაწარმის კონსტრუირება; ქურქ-ბეწვეულის და ტყავის ნედლეულის ტექნოლოგიური დამუშავება; ქურქ-ბეწვეულის ნაწარმის ინოვაციური ტექნოლოგიები“, სასწავლო კურსის სილაბუსში კი - „არ გააჩნია“.

- პროგრამაში სასწავლო კურსების ჩამონათვალში მითითებულია „დამამთვარებელი პროექტი“, რომლის სილაბუსი არ იქნა წარმოდგენილი.

7. პროგრამის მიზანში "ბიოსამედიცინო ინჟინერია" მითითებულია, რომ - "პროგრამა საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს შეისწავლონ ბიოსამედიცინო ინჟინერის საშუალებით ბიოლოგისა და სამედიცინო პრობლემების კვლევის სფერო". პროგრამის კურიკულუმში კი არ არის არც ერთი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს კვლევის უნარს განუვითარებდა.

8. კურიკულუმში მოცემული კომპეტენციების რუქა ზოგიერთ ნაწილში ცდომილებაშია სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულ სწავლის შედეგებთან.

შენიშვნებია მე-6-8 მუხლებში მითითებული ხარვეზები ტიპიური ხასიათისაა და მცდირედი რაოდენობით, მაგრამ არის სხვა პროგრამებშიც.

სწავლის შედეგების რუქა და სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობა მოდიფიცირებული პროგრამების პროექტში ჩასწორებულია, სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცულობიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს მიმდინარეობდა ჩასწორება.

9. ტექნოლოგიების მენეჯმენტისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტიანია. კრედიტები გადანაწილებულია საფალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებზე. პროგრამის სტრუქტურა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია ეროვნულ საკალიფიკაციო ჩარჩოსთან.

ავტორიზაციის ექსპერტმა დააზუსტა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა გასაუბრება უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. საუბარი ეხებოდა შესამოწმებელ პროგრამებს. ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ზატომმა გიორგი ძიძიგურმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტამდე დაწესებულებამ მოახდინა არსებული პროგრამების მოდიფიცირება, რომელთა დამტკიცებაც მოხდება უახლოეს აკადემიური საბჭოს სხდომაზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა, როგორც დამტკიცებული პროგრამები, ასევე უნივერსიტეტის მიერ მოდიფიცირებული პროგრამების პროექტები. მაია თეთრუაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა აკადემიური საბჭოს მოწვევა და ამიტომ ვერ შეძლეს პროგრამების დროულად დამტკიცება. ავტორიზაციის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში არსებული შენიშვნები ეხებოდა დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა შენიშვნები ეხებოდა ძველ საგანმანათლებლო პროგრამებს და მხოლოდ ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოახერხეს აკადემიური საბჭოს მოწვევა და მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავას მოსაზრებით, თუკი, მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამები არ იყო დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული, მაშინ საბჭო აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებს ვერ განიხილავდა. ა(ა)იპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს მიახსენა, რომ მისი ინფორმაციით მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამები იყო დამტკიცებული. მაია

თეთრუაშვილმა აღნიშნა, რომ მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამები ექსპერტთა დასკვნას ახლდა დანართის სახით.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ცენტრში არ წარმოუდგენია მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამები. ავტორიზაციის და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულების წარმომადგენლებს იმის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომ პროგრამები უფლებამოსილი ორგანოს მიერ იყო დამტკიცებული. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი იყვნენ პროგრამების ხელმძღვანელები და მათ თან პროგრამების დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტები არ ჰქონდათ.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით აფრასიძე დაინტერესდა იყო თუ არა მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებული. დავით აფრასიძის მოსაზრებით, საბჭოს უნდა განეხილა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა და ამის საფუძველზე უნდა მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. დავით აფრასიძის მოსაზრებით, საბჭოს უნდა ემსჯელა, რომელი საგანმანათლებლო პროგრამები განეხილა - ძველი, თუ ახალი, მოდიფიცირებული, რომელიც არ იყო დამტკიცებული.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, საბჭოს უნდა განეხილა ის პროგრამები, რომლებიც სათანადო წესით იყო დამტკიცებული. მაა თეთრუაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ ვიზიტის მიმდინარეობისას სილაბუსების ნაწილის მოდიფიცირება არ იყო დასრულებული და შესაბამისად, დანართის სახით აღნიშნული სილაბუსები ექსპერტებს არ ჰქონდათ წამოღებული.

დაწესებულების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მან სილაბუსები გადასწა უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს. მისი ინფორმაციით, პროგრამა და სილაბუსები იყო დამტკიცებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონკურსის საფუძველზე შერჩეული აკადემიური პერსონალი ჯერ არ იყო შეკრებილი, შესაბამისად, აკადემიურ საბჭოზე ვერ მოესწრო მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება დაწესებულების ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ. ასევე, საბჭო უფლებამოსილი იყო ემსჯელა უკვე დამტკიცებულ და არა დაუმტკიცებელ საგანმანათლებლო პროგრამებზე და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავას მოსაზრებით, საბჭოს უნდა ემსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. საბჭო არ იყო უფლებამოსილი გადაწყვეტილება მიეღო იმ პროგრამებთან დაკავშირებით, რომლებიც თავად საგანმანათლებლო დაწესებულას არ ჰქონდა დამტკიცებული. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

დაწესებულების წარმომადგენელი დაინტერესდა, შეიძლებოდა თუ არა მომდევნო დღეს მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენა. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საბჭო განიხილავდა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების დამტების საკითხს. უნივერსიტეტი უფლებამოსილი იყო ასევე, რომ აღნიშნული პროგრამები დაემატებინა აკრედიტაციის გზით.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, დასკვნაში არსებული შენიშვნები ეხებოდა თუ არა წარმოდგენილ ყველა საბაკალავრო პროგრამას. მაია თეთრუაშვილმა განმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამისგან განსხვავებით, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ბაკალავრიატის ყველა საგანმანათლებლო პროგრამებში ფიქსირდებოდა ანალოგიური ხარვეზები. კერძოდ, მაია თეთრუაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემული მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული ხარვეზები საერთო იყო წარმოდგენილი ყველა საბაკალავრო პროგრამისთვის.

ექსპერტმა მაია თეთრუაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო აქვს მხოლოდ ერთ კორპუსში, სადაც დამონტაჟებულია ლიფტი. უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით, - საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ცხრილის ისეთი ტრანსფორმირება, რომ აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებს არ დასჭირდეთ სხვა კორპუსებით სარგებლობა.

დაწესებულების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი იყო ბიოსამედიცინო ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და შენიშვნებთან დაკავშირებით შეეძლო პასუხის გაცემა. მაია თეთრუაშვილმა განმარტა, რომ მოცემული პროგრამა დაწესებულების მიერ იყო ჩასწორებული და მას დამატებითი კითხვები პროგრამის ხელმძღვანელთან არ ჰქონდა. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ყველა შენიშვნა მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაში იყო გამოსწორებული.

ექსპერტთა დასკვნის მე-7 პუნქტზე დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამის კურიკულუმში ორი საგანი (შესავალი ბიოსამედიცინო ინჟინერიაში; ჯგუფური პროექტი) იყო გათვალისწინებული, რომლებიც სტუდენტებს უვითარებედნენ კვლევის უნარებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რით იყო განპირობებული, რომ წარმოდგენილი ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა იყო რუსული, ზოგიერთის კი - ინგლისური ენა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნული განპირობებული იყო სტუდენტთა მოთხოვნიდან.

საბჭოს წევრი დავით აფრასიძე დაინტერესდა, რომელ საგანმანათლებლო პროგრამებს ეხებოდა ის ხარვეზი, რომლის მიხედვითაც დამტკიცებულ უცხოენოვან პროგრამებში პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში განსაზღვრული არ იყო არის სწავლების ენის (რუსული, ინგლისური) ცოდნის დონე. მაია თეთრუაშვილმა განმარტა, რომ მოცემული შენიშვნა ფიქსირდებოდა წარმოდგენილ ყველა საბაკალავრო პროგრამაში.

საბჭოს წევრი დავით აფრასიძე დაინტერესდა, რომელი საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში იყო არასწორად მითითებული სწავლების წინაპირობები და რომელი მათგანი არ მოდიოდა შესაბამისობაში სასწავლო გეგმასთან. მაია თეთრუაშვილმა განმარტა, რომ მოცემული შენიშვნა ეხებოდა ყველა საბაკალავრო პროგრამას.

დავით აფრასიძე დაინტერესდა, ნახეს თუ არა ექსპერტებმა ყველა საგნის სილაბუსი. მაია თეთრუაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული საგნების სილაბუსები ექსპერტებმა ვიზიტის დროს ვერ ნახეს. მაია თეთრუაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ კურიკულუმში მოცემული კომპეტენციების რუქა ზოგიერთ ნაწილში ცდომილებაში იყო სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულ სწავლის შედეგებთან. აღნიშნული შენიშვნაც ფიქსირდებოდა ყველა პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, დავით აფრასიძემ კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, დასკვნის მიხედვით, თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოვლენილი ხარვეზები ცალ-ცალკე იყო დაჯგუფებული. დასკვნის მიხედვით, შენიშვნები ფიქსირდებოდა - კვების პროდუქტების ინჯინერიის, ტექნოლოგიისა და ექსპერტიზის (რუსულენოვანი); პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის საინჟინრო ტექნოლოგიების (რუსულენოვანი) და ბიოსამედიცინო ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით. დასკვნის მიხედვით, მე-6-8 პუნქტებში მითითებული ხარვეზები იყო ტიპიური ხასიათის და მცირედი რაოდენობით ფიქსირდებოდა სხვა წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებშიც, კერძოდ - სახმელეთო სატრანსპორტო- ტექნოლოგიების (რუსულენოვანი) საბაკალავრო და ტექნოლოგიების მენეჯმენტისა და პოლიტიკის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამებშიც. სამაგისტრო პროგრამებზე.

დავით აფრასიძე დაინტერესდა, რას ნიშვნავდა დასკვნაში არსებული ჩანაწერი, რომლიც მიხედვითაც მე-6-8 პუნქტებით გათვალისწინებული ხარვეზები მცირე რაოდენობით ფიქსირდებოდა სხვა საგანმანათლებლო პროგრამებშიც. ანუ ფიქსირდებოდა თუ არა აღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული ხარვეზები სახმელეთო სატრანსპორტო- ტექნოლოგიების (რუსულენოვანი) საბაკალავრო და ტექნოლოგიების მენეჯმენტისა და პოლიტიკის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამებშიც. მაია თეთრუაშვილმა განმარტა, რომ სახმელეთო სატრანსპორტო- ტექნოლოგიების (რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამაში მცირე რაოდენობის შენიშვნები იყო დაფიქსირებული. მაია თეთრუაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამებზე აღმოჩენილი შენიშვნები ტექნოლოგიების მენეჯმენტისა და პოლიტიკის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამაში არ ფიქსირდებოდა.

დავით აფრასიძემ კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტულად რა სახის შენიშვნები იყო სახმელეთო სატრანსპორტო - ტექნოლოგიების (რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამაში. მაია თეთრუაშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების რუქაში იყო დაშვებული რამდენიმე უზუსტობა, ასევე პვლევით კომპონენტთან დაკავშირებითაც ფიქსირდებოდა გარკვეული შენიშვნები.

დავით აფრასიძე დაინტერესდა, დაწესებულების პოზიციით დასკვნაში დაფიქსირებულ შემდეგ შენიშვნაზე - სასაწავლო კურსის სილაბუსებში: მათემატიკა 1,2,3; ფიზიკა 1,2; გეგმიური ხაზვა; საქართველოს ისტორია; სოციოლოგია; კულტუროლოგია; ენობრივი კომუნიკაციები; ელექტროტექნიკა და ელექტროტექნიკის საფუძვლები; ჰიდროვლიკა; სამრეწველო საწარმოთა ეკონომიკა და მენეჯმენტი; საბეჭდი ფორმების დამზადების ტექნოლოგია - ძირითადი ლიტერატურაში მითითებულია ქართული სახელმძღვანელოები. საგანმანათლებლო პროგრამა კი რუსულენოვანია. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა იყო რუსულენოვანი. სახელმძღვანელოებიც შედგენილი იყო რუსულ ენაზე, თუმცა მათი თარგმნის დროს ითარგმნა მათი სახელწოდებებიც. შესაბამისად, აღნიშნული იყო მხოლოდ ტექნიკური ხასიათის შენიშვნა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა შენიშვნა გათვალისწინებული და გამოსწორებული იყო მოდიფიცირებულ პროგრამებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ძირითადად დაშვებული იყო ტექნიკური ხასიათის შენიშვნები. აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ პროგრამები კეთდებოდა სწრაფ რეჟიმში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინაპირობებთან დაფიქსირებული ყველა შენიშვნა იყო გამოსწორებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რუსულენოვანი პროგრამების განხორციელებაზე დიდი მოთხოვნა იყო მეზობელი სახელმწიფოებიდან, კერძოდ აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შეკითხვა საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ საკითხის ირგვლივ შეკითხვა არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ბიოსამედიცინო ინჟინერიის (ინგლისურენოვანი) (Biomedical Engineering) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კვების პროდუქტების ინჯინერიის, ტექნოლოგიისა და ექსპერტიზის (რუსულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის საინჟინრო ტექნოლოგიების (რუსულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სახმელეთო სატრანსპორტო-ტექნოლოგიების (რუსულენოვანი) (Наземные транспортно-технологические средства) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ტექნოლოგიების მენეჯმენტისა და პოლიტიკის (ინგლისურენოვანი) (Management and Policy of Technology სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211349192) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	<p>1. ბიოსამედიცინო ინჟინერიის (ინგლისურენოვანი) (Biomedical Engineering)</p> <p>2. სახმელეთო სატრანსპორტო-ტექნოლოგიების (რუსულენოვანი) (Наземные транспортно-технологические средства)</p>	<p>1. ინჟინერიის ბაკალავრი ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციისა და მართვის სისტემები (Eintermediary Qualification In Autonation and Control Systems) შუალედური კვალიფიკაცია - ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები (Eintermediary Qualification In Autonation and Control Systems)</p> <p>2. მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი (Бакалавр иИжинерии и Технологии Механики) შაულედური კვალიფიკაცია - მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში. (Инженерии и Технологии Механики)</p>
მაგისტრატურა	1. ტექნოლოგიების მენეჯმენტისა და პოლიტიკის (ინგლისურენოვანი) (Management and Policy of Technology)	1. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტექნოლოგიების

		მენეჯმენტის სპეციალიზაციით. (Master of Business Administration in Technologies Management)
--	--	--

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს უარი ეთქვას დამატებით შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	<p>1.კვების პროდუქტების ინჯინერიის, ტექნოლოგიისა და ექსპერტიზის (რუსულენოვანი)</p> <p>2.პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის საინჟინრო ტექნოლოგიების (რუსულენოვანი)</p>	<p>1.სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების ბაკალავრი.</p> <p>შუალედური კვალიფიკაცია - სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების</p> <p>3.სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების ბაკალავრი</p> <p>შუალედური კვალიფიკაცია- სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიის</p>

6. ს. საჩი

4. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ციური დურულმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო დადებითი და მათ მიერ შენიშვნა არ იყო დაფიქსირებული არც ერთ სტანდარტან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ დააზუსტა, რომ საუბარი იყო, მხოლოდ, ერთ აკადემიურ პროგრამაზე, რაც ექსპერტმა, ციური დურულმა, დაადასტურა.

საბჭომ იმსჯელა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (აზერბაიჯანულენოვანი) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (აზერბაიჯანულენოვანი) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწევეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202192643) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა

6. ჩატაბე

1	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (აზერბაიჯანულენოვანი)	ბაკალავრიატი	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ეკონომიკაში-07- 0701	240
---	--	--------------	--	-----

5. შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნინო ფეტვიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო დადებითი და მათ მიერ შენიშვნა არ იყო დაფიქსირებული არც ერთ სტანდარტთან მიმართებით.

სათათბირო ხმის უფლების მქონე პირმა, მაია ჩიხლაძემ, განაცხადა, რომ იგი გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს, გადაამოწმა დაწესებულების ვებგვერდი და მასზე განთავსებული რეგულაციები და აღნიშნა, რომ ის, ცალსახად, ეთანხმებოდა ავტორიზაციის ექსპერტმა ჯგუფის დასკვნებს.

აღნიშნული პოზიცია გაიზიარა სათათბირო ხმის უფლების მქონე მეორე პირმა, ეკა ჩიკაშუამ და წარმატებები უსურვა დაწესებულებას.

საბჭომ იმსჯელა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის აუდიტორის ასისტენტის მესამე საფეხურის, ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის, პრაქტიკოსი ექტნის მეხუთე საფეხურის, სადაზღვეო აგენტის მესამე საფეხურისა და ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის აუდიტორის ასისტენტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის სადაზღვეო აგენტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწივეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202192643) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებული პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტუ ბის რაოდენობა
1	აუდიტორის ასისტენტი	მესამე	აუდიტორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

2	ბანკის ოპერატორი	მეხუთე	ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
3	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150
4	სადაზღვევო აგენტი	მესამე	სადაზღვევო აგენტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
5	ფარმაცევტის თანაშემწე	მეხუთე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120

ნ. მარატ

6. შპს - საქართველოს უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ციური დურულმა და ნინო ფეტვიაშვილმა, რომლებმაც განმარტეს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები დაფიქსირებული არ იყო.

ნინო ფეტვიაშვილმა, აღნიშნა რომ შპს - საქართველოს უნივერსიტეტი მდებარეობს თბილისში, კოსტავას ქუჩა N77 და N77a. უნივერსიტეტის საერთო ფართია 32261,1 კვ.მ. პროფესიული სწავლების განხორციელების მიზნით გამოიყენება ამ ფართიდან 1686,85 კვ.მ., რომელშიც საუნივერსიტეტო და პროფესიული სწავლებისთვის საერთო ფართია 947,22 კვ.მ. დაწესებულების I, III და IV კორპუსებში აღნიშნულ ფართში განთავსებულია: მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი ოთახები (საპროფესოროები) - I კორპუსში, სასწავლო აუდიტორიები, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ლაბორატორია - IV კორპუსში, ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით - III კორპუსში. დაწესებულებას ჰყავდა 16 პროფესიული მასწავლებელი.

საბჭოზე სათათბირო ხმით მოწვეულმა ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შპს - საქართველოს უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი დადებითად უნდა გადაწყვეტილიყო.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების 200-ით განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს უნივერსიტეტს(საიდენტიფიკაციო კოდი: 205037137) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა	მესამე საფეხური	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020151)	30
2	ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა	მეოთხე საფეხური	ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020151)	30
3	კომპიუტერული ქსელები და სისტემები მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა	მესამე საფეხური	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040154)	45
4	კომპიუტერული ქსელები და სისტემები მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა	მეოთხე საფეხური	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040154)	60

6. ჩავა

7. ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „საზოგადოება ცოდნისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელებული იყო მიმდინარე წლის ივლისის თვეში. ექსპერტმა აქვე განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულმა პირმა, მაია ჩიხლაძემ, განაცხადა, რომ იგი გაეცნო დასკვნას და დასკვნის თანახმად, დაწესებულება აკმაყოფილებდა სტანდარტის ყველა მოთხოვნას. ამასთან, მაია ჩიხლაძემ გამოთქვა სურვილი, რომ შემდგომში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის მისაღებად მოწვევის დროს, მისთვის გადაეგზავნათ არამხოლოდ ექსპერტთა დასკვნა, არამედ პროგრამები და სილაბუსები. მაია ჩიხლაძე, აქვე დაინტერესდა რატომ შეჩერდა კოლეჯის არჩევანი ექტნის თანაშემწის მესამე საფეხურისა და მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების, როგორც ვიზუალური მხარე - გარემო, ასევე აკადემიური პერსონალი ორიენტირებული იყო ჯანდაცვის სფეროზე. ამასთან, ადგილზე ხდებოდა მხოლოდ თეორიული კომპონენტის ათვისება, ხოლო პრაქტიკული კომპონენტისათვის დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა საკმარისზე მეტი რაოდენობის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი კლინიკებთან და სხვა მსგავს დაწესებულებებთან, შესაბამისად არსებობდა ობიექტური საფუძველი იმისათვის, რომ დაწესებულებას ეფიქრა ჯანდაცვის მიმართულებით პროფესიული პროგრამების განხორციელებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა ექსპერტის განმარტების მართებულობა და აქვე, აღნიშნა, რომ დასახელებული მემორანდუმების საფუძველზე პარტნიორ კლინიკებში მოხდებოდა პროფესიულ სტუდენტთა სწავლება.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „საზოგადოება ცოდნისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო. შესაბამისად, თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 14 აგვისტოს №242 ბრძანებით ა(ა)იპ -

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „საზოგადოება ცოდნისათვის“ განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან (250 სტუდენტი), რამდენი ადგილის გამოყოფა სურდა დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების სურვილი იყო 250-იდან 40 ადგილი გამოყოფილიყო პროფესიული სტუდენტებისათვის.

ექსპერტმა, თეა ნადირაძემ, დაადასტურა, რომ დაწესებულებას შეეძლო 40 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „საზოგადოება ცოდნისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „საზოგადოება ცოდნას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 203844242) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 40-ით

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული	114

6. ლალა

			კვალიფიკაცია	
2	მასაჟისტი	მესამე	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სწდომა
დახურულად გამოცხადდა 20:02 საათზე.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

ნ. ჩინჩა

მდივანი
ანა ბახტურიძე